საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 2889-03
11/09/2020

**2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, “პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლების და მეცნიერებათა მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანების, რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 11 სექტემბრის N8245-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**1.** 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების ქვემოთ მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა);

ბ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა);

გ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება );

დ) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები);

**2.** 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2020 წლის 12 სექტემბრის 10:00 საათიდან 2020 წლის 17 სექტემბრის 18:00 საათამდე, რეგისტრაციის ბაზის საშუალებით შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/lecturers და უნდა ატვირთონ ქვემოთ მითითებული დოკუმენტაცია:

ა) ავტობიოგრაფია (CV) – ქართულ ენაზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

გ) გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ გაცემული ცნობა საგნის გამოცდის ჩაბარების შესახებ გამოცდაზე რეგისტრაციის ნომრის, მიღებული და მინიმალური გამსვლელი ქულის მითითებით. რეგისტრაციისას საგნის გამოცდის ჩაბარების ცნობის არ

არსებობის შემთხვევაში - საგამოცდო ბარათი. (პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას სავალდებულოა, წარმოდგენილი იყოს ზემოთ აღნიშნული ცნობა).

დ) მასწავლებლის სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, მასწავლებლის სერტიფიკატის ასლი;

ე) 3/4 -ზე ფოტოსურათის ელ-ვერსია.

ვ) ბაკალავრის/მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი ან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა შესაბამისი ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი; უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი;

ზ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი ( მხოლოდ ვაჟებისთვის).

**3.** ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დიპლომის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**4.** ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის ბაზაში შეყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობას იღებს აპლიკანტი;

**5.** ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კვოტების, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების, ხელშეკრულების გაფორმებისა და ჩარიცხვის ვადების შესახებ ინფორმაცია განისაზღვროს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

**6.** კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელს- სოფიკო ლობჯანიძეს.

**7.** ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

**8.** უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი